დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საკერვალო წარმოება“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ირმა ქორთუა
წევრები: მანანა კობალაძე

თბილისი, 2022წ

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - კოლეჯი **„გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: 200279448

Irma Kortua 19001010979

Digitally signed by Irma Kortua
Date: 2022.12.12 19:44:46

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

II ადმინისტრაციული წარმოების სახე :

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 03/11/2022 წლის № 401443 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, (ბრძანებაში ცვლილება 22/11/2022, № 1492742) შემდეგი შემადგენლობით:

1) ირმა ქორთუა - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (თავმჯდომარე);

2) მანანა კობალაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი).

სსიპ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2022 წლის 18 ოქტომბერს წარმოდგენილ იქნა განაცხადი „სამკერვალო წარმოებას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.(რეგისტრაციის №1316335)

2022 წლის 25 ნოემბერს განხორციელა ვიზიტი კოლეჯში „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“, საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შემოწმების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა გასაუბრების განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

„სამკერვალო წარმოების“ პროგრამაზე 2020-2022 წლებში მაღალი იყო დარეგისტრირებული აპლიკატების რაოდენობა (2021 წელს 12 ადგილზე 172 რეგისტირებული, 2022 წელს 16 ადგილზე 107 რეგისტირებული). ამავდროულად შრომის ბაზარზე მაღალია მოთხოვნა „სამკერვალო წარმოების“ პროგრამის კურსდამთავრებულებზე, ასევე მაღალია დასაქმების და თვითდასაქმების მაჩვენებელი აღნიშნულ პროგრამაზე (საშუალოდ 85-100%). შესაბამისად კოლეჯს სურს არსებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 32 გაზარდოს 8 პროფესიული სტუდენტით და ზღვრული რაოდენობა გახდეს 40.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში დაწესებულების შესაძლებლობების დადგენისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია, განახორციელა გასაუბრებები დაწესებულების დირექტორთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ბიბლიოთეკართან, სტუდენტებთან, პრაქტიკის განმახორციელებელთან, დაათვალიერა და გადაამოწმა სასწავლო გარემოები, მატერიალური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, A, B, C სასწავლო გარემო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდის მიზნით, კოლეჯმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

1. დაამატა სასწავლო რესურსები სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით
2. დამატებით აიყვანა ერთი პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი და ორი ზოგადი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი

ვიზიტის დასასრულს, ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

საუკეთესო გამოცდილებად შეიძლება ჩაითვალოს **გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის** პროფესიული განათლების მასწავლებლების და პრაქტიკის განმახორციელებლებს შორის არსებული ეფექტური თანამშრომლობა სტუდენტების შერჩევის, სწავლების და შეფასების პროცესში. განსაკუთრებით საინტერესოა კოლეჯის და შ.პ.ს „მოვის“ მიერ ერთობლივად შემუშავებული სტუდენტთა შერჩევის ფორმა „შემოქმედებითი ტური“. პედაგოგები პრაქტიკის განმახორციელებლებთან ეფექტური თანამშრომლობით აქტიურად ახორციელებენ სასწავლო მეთოდოლოგიის დახვეწას და მორგებას ტექნოლოგიურ სიახლეებზე. ამ ეტაპზე პედაგოგების მხრიდან გამოვლენილია დამატებითი სასწავლო რესურსები, რომელთა შეძენასაც გეგმავენ ეტაპობრივად და რომელიც ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე მიმდინარე ცვლილებების ადექვატური სწავლების უზრუნველყოფას.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

VI გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ გამოვლენილა

VII რეკომენდაციების შეჯამება

VIII ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სამკერვალო წარმოება/ Sawing industry
პროფესიული განათლების დონე	მესამე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში/ Basic Vocational Qualification in Sewing Industry
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	07120-3
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება N23, 10.04.19
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ.თბილისი; ილია ვეკუას ქ. N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	32 სტუდენტი; ქ.თბილისი; ილია ვეკუას ქ. N44
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115 კრედიტი

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IX პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული	სრული
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

X სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

სსიპ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის დირექტორის ბრძანებით N327; 31.12.2021; პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, სათანადო რესურსების რაოდენობას და მათი სასწავლო პროგრამაში გამოყენების ინტენსივობას. მეთოდოლოგიით ასევე შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ინდიკატორები.

კოლეჯს „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი, რაც გამოიყენება სასწავლო მიზნების რეალიზაციისათვის. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 32, დაწესებულებას ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში „სამკერვალო წარმოებას“ პროფესიულ საგანმანათლენლო პროგრამაზე ეყოლება - 40 პროფესიული სტუდენტი. ერთ მიღებაზე მიიღებენ 40 პროფესიულ სტუდენტს, ორ ცვლაში, ორ ჯგუფად (20-20 სტუდენტი თითოეულ ჯგუფში).

პროგრამისთვის გამოყოფილია აუდიტორიები: მესამე სართული - სამკერვალო-სახელოსნო აუდიტორია და შიდა ორი აუდიტორია, აუდიტორია 21, მე-2 სართული: აუდიტორია 8, აუდიტორია 11, აუდიტორია 7.

სამკერვალო სახელოსნოსა და აუდიტორიებში სამუშაო ადგილების რაოდენობა განსაზღვრულია 20-20 ადგილით ერთ ცვლაში, რაც ორ ცვლაზე გაანგარიშებით შეადგენს 40 ადგილს.

A გარემო - მესამე სართულზე 23-ე აუდიტორიის პერიმეტრზე არსებული შიდა ორი ოთახი 20-20 სტუდენტზე. ოთახებში განთავსებულია მაგიდა-სკამი თითოეულ სტუდენტზე, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალება, დაფა, კომპიუტერი (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის),

A-B გარემო - აუდიტორია 8, აუდიტორია 11, აუდიტორია 21 –თითოეული აუდიტორია გათვლილია 20 სტუდენტზე . აღნიშნული აუდიტორიები ძირითადად გამოყოფილია ზოგადი მოდულებისთვის. აუდიტორიებში განთავსებულია მაგიდა-სკამი 20 სტუდენტისთვის, 20 კომპიუტერი, პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა /სკამი), დაფა, კომპიუტერი (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის),

B გარემო - აუდიტორია 7; გამოყოფილია ზოგადი მოდულებისთვის. განთავსებულია მაგიდა-სკამი 20 სტუდენტისთვის, 20 კომპიუტერი, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალება, დაფა, კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის.

C გარემო - მესამე სართულზე აუდიტორია 23. განთავსებულია სამკერვალო წარმოების პროგრამის სტანდარტით განსაზღვრული ყველა სასწავლო რესურსი 20 სტუდენტზე. კოლეჯმა დაამატა სასწავლო რესურსი 4 დამატებით პროფესიულ სტუდენტზე, კერძოდ: მაგიდა-სკამები, ფლიფჩარტის მოლბერტები, ერთნემსიანი სწორი გვირისტის უნივერსალური საწარმოო საკერავი მანქანა, საფეიქრო ლუპა, ქარგა, სამკერვალო ნაკრების ყუთი. კოლეჯმა წარმოადგინა სათანადო შესყიდვების დოკუმენტაცია: ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი და სასაქონლო ზედნადები. აღნიშნული დასახელების რესურსები განთავსებულია სასწავლო C გარემოში.

კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ პრაქტიკის განმახორციელებლებთან:

1. შპს „ლემასი“ - მემორანდუმი N 536; 03.02.2022 - თანამშრომლობა 5 პროფესიული სტუდენტისთვის სამკერვალო წარმოების პროგრამის სამი პროფესიული მოდულის ფარგლებში: სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა, საწარმოო პრაქტიკა- სათანადო შედეგების მიიღწევა, გაცნობითი პრაქტიკა- ექსკურსიის ორგანიზება.
2. შპს „მოვი“ - მემორანდუმი N 535; 02.02.2022. - თანამშრომლობა 50 პროფესიული სტუდენტისთვის სამკერვალო წარმოების პროგრამის სამი პროფესიული მოდულის ფარგლებში: სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა, საწარმოო პრაქტიკა- სათანადო შედეგების მიიღწევა, გაცნობითი პრაქტიკა - ექსკურსიის ორგანიზება.
3. შპს პრემიერა - მემორანდუმი N 532; 16.06.2022; - თანამშრომლობა 20 პროფესიული სტუდენტისთვის სამკერვალო წარმოების პროგრამის სამი პროფესიული მოდულის ფარგლებში: სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა, საწარმოო პრაქტიკა- სათანადო შედეგების მიიღწევა, გაცნობითი პრაქტიკა - ექსკურსიის ორგანიზება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული მემორანდუმების საფუძველზე - კოლეჯს აქვს შესაძლებლობლობა ერთდროულად 40 სტუდენტის სწავლების შემთხვევაში ყველა სტუდენტი დააკმაყოფილოს და გადაანაწილოს პრაქტიკის განმახორციელებლებთან.

არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების, პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 18 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, რომელთაგან 13 უძღვება ზოგად მოდულების სწავლებას და 5 პროფესიული მოდულების (კოლეჯმა დაამატა ერთი პროფესიული მოდულების განმახორციელებელი მასწავლებელი). პროფესიული მოდულების განმახორციელებელი მასწავლებელები ჩართულები არიან რამოდენიმე პროფესიული მოდულის სწავლებაში. თითოეული პროფესიული მოდულისთვის გამოყოფილია 2-3 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მოდულებში: მეწარმეობა1, ინფორმაციული წიგნიერება1 და რაოდენობრივი წიგნიერება ხელშეკრულებები გაფორმებულია მხოლოდ თითო-თითო პროფესიული განათლების მასწავლებელთან, თუმცა კოლეჯს აღნიშნული მიმართულებებით ყავს სხვა დამატებითი პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ჩაერთვებიან ზოგადი მოდულების სწავლებაში. ქართული ენა A2 მოდულში ხელშეკრულება გაფორმებულია 1 პროფესიული განათლების მასწავლებლელთან.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა ყოველკვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

წარმოდგენილი სასწავლო გეგმით სწავლება პერიოდულად განხორციელდება შაბათობითაც, რაც გამოწვეულია მხოლოდ ერთი C გარემოს არსებობით. ამ ეტაპზეც, არსებული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით სწავლება პერიოდულად შაბათობით ტარდება და სტუდენტთა კვოტის გაზრდა არ ახდენს გავლენას არსებულ პრაქტიკაზე. კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოვლინდა რომ შაბათობით სტუდენტებს აქვთ ყველანაირი პირობა შექმნილი სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება.

„სამკერვალო წარმოება“ პროგრამაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს პერიოდულად უტარდებათ როგორც შიდა, ასევე გარე ტრენინგები სწავლების მეთოდოლოგიაში, შეფასების სისტემებსა და ტექნიკებში.

2022 წელს პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდათ შიდა ტრენინგები შემდეგ თემებზე: „პროფესიული ინკლუზიური განათლების როლი“, „ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, შეფასება და აპლიკანტთან ტესტირების დაგეგმვა,“ „კომპლექსური დავალება-განმავითარებელი შეფასების საუკეთესო ინსტრუმენტი“, „შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და შემდგომი ადმინისტრირება“. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ პედაგოგები ფლობენ შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა-გამოყენების და სწავლების ინტერაქტიულად ჩატარების მეთოდებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენცია დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილებით. კოლეჯს წარმოდგენილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის ბრძანება და სამუშაო აღწერილობა.

პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით გამოიკვეთა რომ პროგრამის ხელმძღვანელს კარგად აქვს გააზრებული საკუთარი ფუნქცია - მოვალეობები და პროგრამის გუნდთან ერთად აქტიურადაა ჩართული პროგრამაში ცვლილებების შეტანის, პროგრამის შეფასების და პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობის პროცესში.

გასაუბრებით და სათანადო დოკუმენტაციების შემოწმებით განისაზღვრა რომ სამკერვალო წარმოების პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

პსდ-ში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით სტუდენტებისათვის. სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული სასწავლო რესურსზე წვდომა უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკაში არსებული თორმეტივე კომპიუტერიდან. მომხმარებლისათვის მასალების მიწოდება შესაძლებელია როგორც ადგილზე დაბეჭდვით, ასევე ელექტრონულ მატარებლებზე გადატანით.

ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

ბიბლიოთეკის დათვალიერებით, ბიბლიოთეკართან და სტუდენტებთან გასაუბრებით, პროგრამის დანართებში მითითებული ლიტერატურის შედარებით ბიბლიოთეკის ფონდში არსებულ ელექტრონული მასალებთან, განისაზღვრა რომ სამკერვალო წარმოების საგანმანათლებლო რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული სახით, ასევე ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

კოლეჯის „ინდივიდუალური სასწავლო გეგმით“ განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების საფუძველი და პროცედურები. აღნიშნული დოკუმენტით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საფუძველია შემდეგი სიტუაციები: 1. პროფესიული სტუდენტი ვერ აღწევს სწავლის შედეგებს; 2. მობილობით გადმოსულია პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავდება კოლეჯის შესაბამისი საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისგან; 3. პირი რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას; 4. წინმსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება; 5.პროფესიულ სტუდენტს სჭირდება სასწავლო რესურსებთან ადაპტირება. პროგრამის დანართებში - თოთოეულ მოდულში განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების და შეფასების სპეციფიკა.

ამ ეტაპზე კოლეჯს ყავს 16 სსსმ პირი, რომელთა საჭიროებებს დაწესებულება პასუხობს სათანადო მომსახურების მიწოდებით, სტუდენტის საჭიროებაზე მორგებული გრაფიკით, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნით, სატრანსპორტო მომსახურებით.

სასწავლო გარემოს დათვალიერებით, გასაუბრებებით და სათანადო დოკუმენტაციის შემოწმებით განისაზღვრა რომ სსსმ პირებს წვდომა აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური ბიუჯეტი წარმოადგენს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავლებში გათვალისწინებულია ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება. ხარჯებში გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომითი ანაზღაურება - ბიუჯეტის 48.6%, სასწავლო მასალა და ნედლეული - 31%, ადმინისტრირება - 12.33%, საქონელი და მომსახურება 7,94 % (აღნიშნული ხარჯი ასევე მოიცავს შშმ პირების ტრანსპორტირების ხარჯსაც) და სხვა ხარჯები - 0.4%, რომელიც მოიცავს კომუნალურ ხარჯებს, საოფისე ხარჯებს. აღნიშნული ბიუჯეტით პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არის 6 პროფესიული სტუდენტი.

შემოსავალი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას და სწავლების მიზნების მიღწევას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პედაგოგების პირადი საქმეები და ხელშეკრულებები
2. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 14 CPV 39121200; 21.02. 2022; მიღება-ჩაბარების აქტი - მარტი 2022; საგადასახადო მოთხოვნა N 00329;
3. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 15; CPV – 42710000 -- საფეიქრო მანქანა-დანადგარები; 42720000- ქსოვილებბისა და ტანსაცმლის წარმოების მანქანა-დანადგარების ნაწილები. მიღება-ჩაბარების აქტი N 1 – 4 მარტი 2022წ. საგადასახადო მოთხოვნა N 00335, N 00336 და N 00337;
4. პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის ბრძანება და დანართი, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები; დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მიერ, ბრძანება N 122; 27 ივნისი 2022.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი - დამტკიცებულია: სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის ბრძანებით N58, 26.06.2018წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. ბიბლიოთეკის ფონდში შერჩევითი გადამოწმება სამკერვალო წარმოებას მოდულებში მითითებული ლიტერატურის.
7. პროფესიული პედაგოგებისათვის 2022 წელს ჩატარებული ტრენინგების სერთიფიკატები.
8. ფიზიკური გარემოს დათვალიერება .
9. გასაუბრებები: პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის მენეჯერი, დირექტორი, პედაგოგები, სტუდენტები, პრაქტიკის განმახორციელებლები.
10. პროგრამა და მისი დანართები.
11. პროგრამული ბიუჯეტი.
12. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1 - ვიზიტის დღის წესრიგი

12.12.2022

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: